ა(ა)იპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, IV სართული, დეკანატი–ოთახი №79
ტელ.: 0350 73320;   E-mail: zusti@tesau.edu.ge

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | ეკოლოგია(Ecology) |
| **აკადემიური განათლების საფეხური** | დოქტორანტურა(III საფეხური) |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | აკადემიური |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | ეკოლოგიის დოქტორი  (Academic Doqtor of Ecology) |
| **სწავლის ხანგრძლივობა** | 3  აკადემიური წელი  (6  სემესტრი) |
| **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა** | 180 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | პროფესორი თამარ ნადირაძე ტელ:  593338945<br>ელ.ფოსტა:nadiradze_t@yahoo.com |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, მკვლევარი ეკოლოგიაში, მცენარეთა ეკოლოგიის მიმართულებით.პროგრამის მიზანია: აღმოსავლეთ საქართველოს კერძოდ კი კახეთის რეგიონის ეკოსისტემათა ბიოეკოლოგიის შესწავლა. კახეთის იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი მცენარეთა სახეობების ბიოეკოლოგიის შესწავლა ბუნებრივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან, ანთროპოგენური ზეგავლენისა და გაუდაბნოების პროცესებთან კავშირში. აგრეთვე კახეთში გავრცელებული ინტროდუცირებული მცენარეების განვითარების რიტმის და ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა ინვაზიის გათვალისწინებით. |
| **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ი სწავლის შედეგები** | |

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | პროგრამის გავლის შემდეგ დოქტოტანტს  ექნება ეკოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას | იცნობს ეკოსისტემების ძირითად ტიპებს, მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, იცის, როგორ მოქმედებს ეკოსისტემაზე კლიმატი, გეოლოგია და ევოლუციური წარსული. იცის ძირითადი პრინციპები, რომლებიც |

| | | |
|---|---|---|
| | იძლევა(რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე)გაცნობიერებული ექნება არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების არსი. | აკავშირებს ორგანიზმის გავრცელებას ეკოლოგიურ პირობებთან და ისტორიულ მიზეზებთან.იცნობს ბიოლოგიური თანასაზოგადოების ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს. აცნობიერებს პოპულაციებს შორის ურთკავშირის პრინციპებს. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა,განხორციელება და ზედამხედველობა;ახლებურ ი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავება, რომლებიცორიენტირებული ა ახალი ცოდნის შექმნაზე და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; | შეუძლია კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და ჩატარებული სამუშაოს ანგარიშის დაწერა,რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირველად ან მეორად მონაცემებს, მოპოვებულს ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის ფარგლებში.მონაცემების მოპოვება, ჩაწერა და ანალიზი სათანადო ტექნიკის გამოყენებით ლაბორატორიულ და/ან საველე პირობებში, დამოუკიდებლად ან ჯგუფის შემადგენლობაში მუშაობისას. საველე და/ან ლაბორატორიულ პირობებში ცოცხალ ორგანიზმებზე ჩაატაროს კვლევები ეთიკური პრინციპებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.შეუძლია აწარმოოსგარემოს |

| | | |
|---|---|---|
| | | მდგომარეობაზე მონიტორინგი და კონტროლი.შეძლებს ეკოლოგიის დარგში სამეცნიერო კვლევითი პროექტის შემუშავებას და მართვას. |
| **დასკვნის უნარი** | აქვს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და სინთეზის უნარი.ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/ განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის რთული და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი; | შეუძლია გამოიყენოს დარგობრივი ცოდნა პრაქტიკაში.პრობლემების გადასაჭრელად.აქვს კვლევის დაგეგმვის და ექსპერიმენტის დამოუკიდებლად ჩატარების უნარი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და მიღებული შედეგების შეფასება. |
| **კომუნიკაციის უნარი** | აქვს კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხო ენაზე.<br><br>ფლობს ზოგად | შეუძლია სხვადასხვა აუდიტორიასთან საკუთარი დარგობრივი სფეროს შესახებ ურთიერთობის უნარი |

| | | |
|---|---|---|
| | კომპიუტერულ უნარებს.შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხო ენაზე; | სხვადასხვა ფორმატითა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია ინტერნეტის და სხვა ელექტრონული წყაროების  გამოყენება ინფორმაციის მოძიებისათვის. |
| **სწავლის უნარი** | აქვს საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი.უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის მათ შორის კვლევის პროცესში;აქვს საკუთარი სწავლის პროცესისდამოუკიდებლად მართვის უნარი. | შეუძლია განივითაროს უნარები,საჭირო დამოუკიდებელი და სიცოცხლის განმალობაში სწავლისათვის.შეძლებს მოიძიოს და გამოიყენოს შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. |
| **ღირებულებებ ი** | შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. | აცნობიერებს ეკოლოგის საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.დოქტორანტი შეძლებს სამუშაო ჰიპოთეზის დასახვას, კვლევის მიზნისა და |

| | | |
|---|---|---|
| | | ამოცანების ჩამოყალიბებას. |

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა**

დოქტორანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტების საფუძველზე:

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში არსებობს სპეციალობის და დამხმარე სასწავლო კურსები. ყველა სასწავლო კურსში შეფასება მოხდეს 60/40 (შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები) პროცენტული თანაფარდობით. შუალედური შეფასება განისაზღვროს სამი პრეზენტაციით, თითოეულის მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 20 ქულით (3x20 ქულა). კრედიტის მინიჭება მოხდეს მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | ეკოლოგიის დოქტორის დასაქმების სფეროს წარმოადგენს:<br>• აკადემიური დაწესებულებები.<br>• სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციები.<br>• სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.<br>• ეკოლოგიური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.<br>• დაცული ტერიტორიები.<br>• ბოტანიკური ბაღები და პარკები.<br>• ველური ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ორგანიზაციები. |